თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-37158-24
03 / 07 / 2024

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს წარმომადგენელს
ვახტანგ ეგორაშვილს

ბატონო ვახტანგ,

თქვენი მიმდინარე წლის 21 ივნისის №02-13-37158-24 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, მინდელის ხიდის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი: №01.13.02.001.112) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით პოზიციას გაცნობებთ, რომ კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით აღნიშნული საკადასტრო ერთეულის სიახლოვეს გადის შპს „თბილისი ენერჯი’’-ს კუთვნილი მიწისქვეშა D=315 მმ-იანი და D=70 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენები.

კომპანია არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების შეთანხმება შპს „თბილისი ენერჯი’’-სთან;
- სამშენებლო სამუშაოების შეთანხმების ეტაპზე დაზუსტდება გაზსადენის ზუსტი ტრაექტორია. იმ შემთხვევაში, თუ გაზსადენი კვეთს მიწის ნაკვეთს აუცილებელია განხორციელდეს მისი საკადასტრო ერთეულის წითელი ხაზებიდან გადატანა/მარშრუტის ცვლილება. საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების თანხების ანაზღაურებას და საჭიროებისამებრ, სამუშაოების წარმოებისთვის აუცილებელი ნებართვების მოპოვებას უზრუნველყოფს დამკვეთი;
- სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს რეკონსტრუირებული გაზსადენის შეზღუდვის არეალი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“-ს მიხედვით.

აქვე გაცნობებთ, რომ გენგეგმის დამოწმება შპს „თბილისი ენერჯი“-ს მხრიდან მოხდება სამშენებლო სამუშაოების შეთანხმების ეტაპზე.

აღნიშნული შეთანხმება დაუშვებელია გამოყენებულ იქნას სამშენებლო სამუშაოების ნებართვის მიღების მიზნით. წერილში მითითებული პირობების დარღვევა გამოიწვევს შეთანხმების გაუქმებას.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში